საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030172477197017

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/10600 **22 / თებერვალი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის № 381 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მის მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების (ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის – სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საყოფაცხოვრებო აბონენტების) დახმარების მიზნით, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლია ან არ აღემატება 70 000-ს (სოციალურად დაუცველი ოჯახები) და რომელთა მოხმარება (30 კალენდარულ დღეში) არ აღემატება 301 კვტ/სთ-ს, 2016 წლის 1 მარტიდან ყოველთვიურად (30 კალენდარულ დღეში) გაიცეს სუბსიდია 1 კვტ/სთ-ზე 3.95064 თეთრის ოდენობით.

გაცნობებთ, რომ სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმდინარე წლის 6 თებერვლის № 236 წერილით 2016 წლის სექტემბრის თვეში დამატებით 106 აბონენტის სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა 344.26 ლარი, ოქტომბრის თვეში 106 აბონენტის - 316.20 ლარი, ნოემბრის თვეში 104 აბონენტის - 329.53 ლარი, დეკემბრის თვეში 113 აბონენტის - 314.44 ლარი და იანვრის თვეში 11 489 აბონენტის - 33 699.03 ლარი. სულ ჯამურად სექტემბერ-დეკემბრის (დამატებითი სია) და იანვრის თვეებში სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა 35 003.46 ლარი.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოგვიყოთ 35 004.00 ლარი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებული „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ პროგრამის (პროგრამული კოდი 35 02 02) „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებულ ასიგნებაში.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია